დანართი №2

თსუ მედიცინის ფაკულტეტის დისტანციური სწავლების კონცეფცია

მსოფლიოში ახალი კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებით კონტაქტური ურთიერთობების მაქსიმალურად შემცირების უზრუნველსაყოფად, თსუ მედიცინის ფაკულტეტი გადადის დისტანციურ ელექტრონულ სწავლებაზე.

ელექტრონული სწავლება ხორციელდება სინქრონული და ასინქრონული ფორმით. ელექტრონული სწავლების ხელშეწყობისათვის ფაკულტეტზე შექმნილია საკოორდინაციო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ორივე ზემოაღნიშნული ფორმის ტექნიკურ და ორგანიზაციულ მხარდაჭერას;

ასინქრონული სწავლების კომპონენტის განსახორციელებლად სასწავლო კურსების შესაბამისი ელექტრონული სასწავლო მასალა იტვირთება საუნივერსიტეტო პორტალზე e-learning.tsu.ge; დასაშვებია ასევე პლატფორმა classroom-ის გამოყენებაც.

სინქრონული სწავლება ხორციელდება პროგრამა ZOOM-ის ან Meet-ის გამოყენებით, ყველა საგანში, სასწავლო ცხრილის შესაბამისად.

ფაკულტეტი მიზანშეწონილად მიიჩნევს არ შეცვალოს მოქმედი შეფასების სისტემა. ფაკულტეტზე დანერგილი სწავლების კურაციული ფორმა საშუალებას მოგვცემს აპრილის შუა რიცხვებისათვის (პირველი კურაციების დასრულების და გამოცდების ჩატარების შემდეგ) შევაფასოთ შეფასების მოქმედი სისტემის ეფექტიანობა და უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში ჩავანაცვლოთ ის სხვა სისტემით (ქულათა განაწილების სხვა პროპორციით).

სინქრონული და ასინქრონული სწავლების მონიტორინგი ხორციელდება ელექტრონული სწავლების მართვის ჯგუფის მიერ e-learning.tsu.ge-ზე არსებული მასალების შემოწმებით და სინქრონულ სწავლების მიმდინარეობაზე დაკვირვებით (რეკომენდებულია, რომ კათედრის ყველა წევრმა, სტუდენტებთან ერთად ZOOM-ში მიიწვიოს კათედრის/კურსის ხელმძღვანელი). მონიტორინგის შედეგები რეგულარულად მიეწოდება ფაკულტეტის ადმინისტრაციას.

ZOOM ონლაინ სისტემის მეშვეობით ასევე ხორციელდება:
ფაკულტეტის საბჭოს ფუნქციონირება;
მაგისტრანტთა და დოქტორანტთა სწავლება;
დისერტაციის დაცვა.

მედიცინის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მიერ მომზადებული ლექციების აუდიო/ვიდეოჩანაწერები და ონლაინ სასწავლო შეხვედრების ამსახველი ვიდეო/აუდიო/ფოტომასალა, წარმოადგენს პერსონალურ მონაცემს. შესაბამისად, ყველა აღნიშნული მასალა გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ ამ უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტთა მიერ და მხოლოდ სასწავლო მიზნებისათვის და ის არ ექვემდებარება გასაჯაროებას ან სხვისთვის გადაცემას.